

## საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს

### განკარგულება

#### (კოდიფიცირებული)

2020 წლის 7 აპრილი

N 7

### კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებების გამოყენების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდობის მხარდაჭერის მიზნით გამოყენებული იქნას მონეტარული ინსტრუმენტების დამატებითი საშუალებები და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (შემდგომში - ეროვნული ბანკი) განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

1. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან განხორციელდეს მოლაპარაკება და გაფორმდეს შესაბამისი ხელშეკრულება მათთან 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სავალუტო სვოპ ოპერაციის შესახებ. სავალუტო სვოპ ოპერაციების პირობები განისაზღვროს მხარეთა შორის შეთანხმებით.
2. კომერციულ ბანკებთან და მათი მეშვეობით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან ეროვნულმა ბანკმა განახორციელოს სავალუტო სვოპ ოპერაციები, რომლის მეშვეობითაც ეროვნული ბანკი ეროვნული ვალუტით იყიდის უცხოურ ვალუტას სპოტ კურსით, მისი ფორვარდული კურსით უკან გაყიდვის პირობით.
3. ამ განკარგულების შესაბამისი სვოპ ოპერაციების მაქსიმალური მოცულობა განისაზღვროს:
  - ა) კომერციულ ბანკებისათვის 200 მლნ (ორასი მილიონი) აშშ დოლარით.
  - ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის 200 მლნ (ორასი მილიონი) აშშ დოლარით.
4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული ეროვნული ბანკის სვოპ ოპერაციის ათვისებისათვის, საქართველო ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამართლებრივი აქტით განისაზღვროს მაქსიმალური ლიმიტები შემდეგი პრინციპების დაცვით:
  - ა) თითოეული კომერციული ბანკისათვის სვოპ ოპერაციის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვროს საბანკო სექტორში თითოეული კომერციული ბანკის საბაზრო წილიდან გამომდინარე, იმ პირობით რომ მაქსიმალური წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

საბაზრო წილის გაანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნას ეროვნული ბანკში კომერციული ბანკის მიერ წარდგენილი ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებული თითოეული კომერციული ბანკის ლარით გაცემული წმინდა სესხების წილი.

ბ) კომერციული ბანკის მეშვეობით თითოეული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სვოპ ოპერაციის მაქსიმალური ლიმიტი განისაზღვროს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საბაზრო წილიდან გამომდინარე, იმ პირობით რომ მაქსიმალური წილი არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს. საბაზრო წილად გაანგარიშებისათვის გამოყენებულ იქნას მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ეროვნულ ბანკში წარდგენილი ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებული ამ ოპერაციებში მონაწილე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წმინდა სესხების წილი ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წმინდა სესხებში. საბაზრო წილის გაანგარიშებაში არ იქნას გათვალისწინებული ის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით არიან პასიურ რეჟიმში და/ან არ გასცემენ სესხებს.

5. ამ განკარგულების შესაბამისად ეროვნული ბანკის სვოპ ოპერაცია განხორციელდეს შემდეგი პირობებით:

ა) სვოპ ოპერაციის გამოყენების პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 15 აპრილიდან 2022 წლის 15 აპრილის ჩათვლით ამ განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში. *(ცვლილება სების საბჭოს 2021-04-02-ის N7 განკარგულებით)*

ბ) 2020 წლის აპრილში შესაძლებელი იქნას ლიმიტის არაუმეტეს 50%-ის ათვისება, ხოლო 2020 წლის მაისიდან შესაძლებელი იქნას ლიმიტის სრულად 100%-ის ფარგლებში ათვისება.

გ) სვოპ ოპერაციის ვადად განისაზღვროს ერთი თვე.

დ) კომერციულ ბანკს და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიეცეს უფლება ყოველთვიურად აითვისოს სვოპის განსხვავებული თანხები მათთვის ამ განკარგულების შესაბამისად დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

ე) სვოპ ოპერაციის განაცხადი წარდგენილ იქნას ბლუმბერგის სისტემით სვოპ ოპერაციის ანგარიშსწორების წინა საბანკო დღეს.

ვ) სვოპ ოპერაციის ანგარიშსწორება განხორციელდეს ყოველი თვის 15 რიცხვში.

ზ) სვოპ ოპერაცია განხორციელდეს ლარისა და აშშ დოლარის სავალუტო წყვილზე.

თ) სვოპ ოპერაციის სპოტ კურსად განისაზღვროს კომერციული ბანკის მიერ სვოპ ოპერაციის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღეს არსებული აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ი) სვოპ ოპერაციის ფორვარდული კურსის გაანგარიშება მოხდეს ფორმულით  $F = S * (1 + (T1-L1) * D / 365)$ , სადაც F არის ფორვარდული კურსი, S არის აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, T1 არის ერთთვიანი TIBR1M საპროცენტო განაკვეთი, L1 არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთთვიანი LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი, ხოლო D არის სვოპის ხანგრძლივობა დღეებში. S, T1 და L1 პარამეტრების დადგენა მოხდეს კომერციული ბანკის მიერ სვოპ ოპერაციის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღის მდგომარეობით არსებული მონაცემების საფუძველზე.

კ) კომერციულ ბანკს შეუძლია ახალი სვოპით მოახდინოს ძველი სვოპის დაფარვა.

6. ამ განკარგულების შესაბამისად განხორციელებული სვოპის მარჟა განისაზღვროს სვოპის თანხის 10%-ის ოდენობით. მარჟის თანხა უნდა განთავსდეს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის აშშ დოლარის სპეციალური დეპოზიტის ანგარიშზე. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილების შემთხვევაში:

ა) თუ სვოპის მარჟის ლარის ექვივალენტური თანხა იქნება სვოპის ლარის თანხის 17%-ზე მეტი, მაშინ ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკს მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში დაუბრუნოს იმ ოდენობის აშშ დოლარი, რომელიც საკმარისი იქნება სვოპის მარჟის 10%-ის ოდენობის აღსადგენად;

ბ) თუ სვოპის მარჟის ლარის ექვივალენტური თანხა იქნება სვოპის ლარის თანხის 3%-ზე ნაკლები, მაშინ ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს მოსთხოვს მარჟის 10%-მდე შევსებას, ხოლო კომერციული ბანკი ვალდებულია უზრუნველყოს ამ მოთხოვნის შესრულება მომდევნო 2 საბანკო დღის განმავლობაში.

7. სვოპ ოპერაციაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კომერციულმა ბანკმა განაცხადი უნდა წარადგინოს ბლუმბერგის სისტემაში ეროვნული ბანკის სვოპ ოპერაციის შეტყობინებით განსაზღვრული წესით, რომელიც ამავედროულად ითვლება კომერციული ბანკის თანხმობად ამ განკარგულებით განსაზღვრული პირობების სრულყოფილად შესრულებაზე.

8. კომერციული ბანკის მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ამ განკარგულებით გათვალისწინებული სვოპ ოპერაციით თითოეულ ჯერზე სარგებლობა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სვოპ ოპერაციამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ეროვნულ ბანკს ელექტრონულ ფორმით გაგზავნილი წერილით უნდა აცნობოს მისი მომსახურე ის ერთი (ან 5 ყველაზე დიდი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შემთხვევაში მაქსიმუმ 2) კომერციული ბანკი, რომლის მეშვეობით განახორციელებს აღნიშნულ ოპერაციებს და მის მიერ გამოსაყენებელი სვოპ ოპერაციის მოცულობა.

ბ) არაუგვიანეს განაცხადის წარდგენის წინა სამუშაო დღისა, კომერციულმა ბანკმა ეროვნულ ბანკს ელექტრონული ფორმით ბლუმბერგის სისტემით უნდა გაუგზავნოს წერილი, სადაც ასახული უნდა იყოს მის მომსახურებაში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და მის მიერ გამოსაყენებელი სვოპ ოპერაციის მოცულობა.

გ) მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის სვოპ ოპერაცია განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ კომერციული ბანკისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან ელექტრონული ფორმით მიღებული წერილობითი ინფორმაცია იქნება შესაბამისი.

9. კომერციული ბანკებისათვის ამოქმედდეს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის დამატებითი ინსტრუმენტი - მუდმივმოქმედი სვოპი - შემდეგი პირობებით: *(მე-9 პუნქტი დამატებულია სეპის საბჭოს 2020-04-27-ის N11 განკარგულებით)*

ა) მუდმივმოქმედი სვოპ ოპერაციები განხორციელდეს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ არსებული ეროვნული ბანკის ფიქსირებულპროცენტუალური სესხის (შემდეგში სესხის) ინსტრუმენტის მეშვეობით ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

ბ) კომერციულ ბანკებს უფლება აქვთ ნებისმიერ საბანკო დღეს სესხი აიღონ თავიანთი გადაწყვეტილებით და იმ მოცულობით, რისი საშუალებაც მათ აქვთ ამ ინსტრუმენტისათვის ნებადართული გირაოს მოცულობიდან გამომდინარე.

გ) თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს ერთი თვე მისი განახლების უფლებით, ხოლო სესხით სარგებლობის პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 1 მაისიდან 2022 წლის 1 მაისამდე. 2022 წლის 1 მაისიდან თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს 7 დღე. სესხის თანხის გაზრდა ან შემცირება ბანკს შეუძლია სესხის გადაგორებისას. აღნიშნული სესხით სარგებლობა შესაძლებელია სანამ ეროვნული ბანკის საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას მისი შეწყვეტის შესახებ. (ცვლილება შეტანილია სესხის საბჭოს 2022-04-18-ის N13 განკარგულებით)

დ) სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ფორმულით  $R = T - L + O + D$ , სადაც T არის ერთთვიანი TIBR1M საპროცენტო განაკვეთი, L არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთთვიანი LIBOR-ის საპროცენტო განაკვეთი, O არის ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის სპრედი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთთან, ხოლო D არის ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის დეპოზიტზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთი. ამ პარამეტრების დადგენა მოხდეს კომერციული ბანკის მიერ სესხის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღის მდგომარეობით არსებული მონაცემების საფუძველზე. 2022 წლის 1 მაისიდან T არის ერთდღიანი TIBR საპროცენტო განაკვეთი, L არის ბლუმბერგის სისტემაში გამოქვეყნებული აშშ დოლარის ერთდღიანი SOFR-ის საპროცენტო განაკვეთი. (ცვლილება შეტანილია სესხის საბჭოს 2022-04-18-ის N13 განკარგულებით)

ე) სესხის ოპერაციის ანგარიშსწორება განხორციელდეს კომერციული ბანკის მიერ „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემდეგ საბანკო დღეს, ამავე სისტემის წესების შესაბამისად.

ვ) სესხის გირაოდ გამოყენებული იქნას ამ მიზნით ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკის სპეციალური დეპოზიტის ანგარიშზე აშშ დოლარით განთავსებული თანხა, ხოლო ოპერაციულად გირაოს გამოყენება განხორციელდეს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ არსებული ტექნიკური საშუალების ინსტრუმენტის მეშვეობით.

ზ) სესხის გირაოს ჰეარჯათი განისაზღვროს 10%-ის ოდენობით, ხოლო აშშ დოლარის მიმართ ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო გირაოს ცვლილების ზღვარი განისაზღვროს 7%-ის ოდენობით.

თ) კომერციულ ბანკს უფლება აქვს იგივე უზრუნველყოფის გამოყენებით აიღოს ახალი სესხი და ამით მოახდინოს ეროვნული ბანკისაგან აღებული სესხის დაფარვა.

ი) სესხის დაფარვის დღეს, სესხის არდაფარვის შემთხვევაში, სესხის სრულ თანხაზე კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაერიცხოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის პროცენტი.

კ) სესხის დაუფარაობის ან დეპოზიტის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, სესხის და მასზე დარიცხული პროცენტის თანხას და ამავე სესხის უზრუნველყოფაში არსებულ დეპოზიტის თანხას შორის სხვაობის გათვალისწინებით მოხდება ვალდებულებების ნეტინგი. ნეტინგის თანხის გაანგარიშებისათვის გამოყენებული იქნება ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

10. კომერციული ბანკებისათვის ამოქმედდეს ეროვნული ბანკის ლიკვიდობის დამატებითი ინსტრუმენტი - ლიკვიდობის ინსტრუმენტი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად შემდეგი პირობებით: (მე-10 პუნქტი დამატებულია სესხის საბჭოს 2020-05-29-ის N16 განკარგულებით)

ა) ლიკვიდობის ინსტრუმენტის ოპერაციები განხორციელდეს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ არსებული ეროვნული ბანკის ფიქსირებულპროცენტით სესხის (შემდგომში სესხის) ინსტრუმენტის მეშვეობით ამავე სისტემის წესების შესაბამისად;

ბ) კომერციულ ბანკს უფლება აქვს „ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის“ აუქციონის დღეს სესხი აიღოს თავისი გადაწყვეტილებით და იმ მოცულობით, რისი საშუალებაც აქვს ამ ინსტრუმენტისათვის ნებადართული გირაოს მოცულობიდან გამომდინარე. სესხის თანხის შემდგომი გაზრდა ან შემცირება კომერციულ ბანკს შეუძლია მხოლოდ სესხის განახლებისას;

გ) სესხის საპროცენტო განაკვეთად განისაზღვროს კომერციული ბანკის მიერ სესხის განაცხადის ეროვნულ ბანკში წარდგენის დღის მდგომარეობით არსებული ერთთვიანი TIBR1M საპროცენტო განაკვეთი;

დ) თითოეული სესხის ვადად განისაზღვროს 28 კალენდარული დღე მისი განახლების უფლებით, ხოლო სესხით სარგებლობის პერიოდად განისაზღვროს 2020 წლის 1 ივნისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

დ.ა) 2020 წლის 1 ივნისიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ამ სესხისათვის ნებადართული გირაოს მოცულობის სრულად გამოყენებით;

დ.ბ) 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმ პირობით, რომ აღარ მოხდება ამ სესხისათვის მისაღები გირაოს ბაზაში ახალი სასესხო აქტივების დამატება და ყოველ 6 თვეში ერთხელ გირაოს ბაზა შემცირდება 2022 წლის 1 იანვარს არსებული მოცულობის 25%-ით;

ე) სესხის გირაოდ გამოყენებული იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური გირაოს მართვის დებულების“ შესაბამისად ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული კომერციული ბანკის შემდეგი სახის სასესხო აქტივები:

ე.ა) კომერციული ბანკების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხები, რომელიც შეესაბამება N1 დანართით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

ე.ბ) კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხები, რომელიც შეესაბამება N2 დანართით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

ვ) ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დასაგირავებელი ამ განკარგულებით განსაზღვრული კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების მაქსიმალური ჯამური მოცულობა თითოეული კომერციული ბანკისთვის განისაზღვროს არაუმეტეს დაგირავების წინა საბანკო დღის მდგომარეობით კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები და სახელმწიფო ობლიგაციები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები) 25 პროცენტისა;

ზ) სესხის გირაოს ჰეარქათი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ზ.ა) 30%-ის ოდენობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხებზე;

ზ.ბ) 50%-ის ოდენობით, მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემულ სესხებზე;

ზ.გ) თუ მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხის ძირითადი თანხა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ, მაშინ ასეთი სესხის ჰეარქატი არის ასეთი სესხის ძირითადი თანხის არაგარანტირებული წილის შესაბამისი, მაგრამ არაუმეტეს 50%-სა;

თ) სესხის გირაოს გამოყენება განხორციელდეს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ არსებული ტექნიკური საშუალების ინსტრუმენტის მეშვეობით;

ი) სასესხო ოპერაციის ანგარიშსწორება განხორციელდეს კომერციული ბანკის მიერ „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების სისტემაში“ შესაბამისი განაცხადის წარდგენის შემდეგ საბანკო დღეს, ამავე სისტემის წესების შესაბამისად;

კ) კომერციულ ბანკს უფლება აქვს იგივე უზრუნველყოფის გამოყენებით აიღოს ახალი სესხი და ამით მოახდინოს ეროვნული ბანკისაგან აღებული სესხის დაფარვა;

ლ) სესხის დაფარვის დღეს, სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, სესხის სრულ თანხაზე კომერციულ ბანკს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაერიცხოს ეროვნული ბანკის ერთდღიანი სესხის პროცენტი.

მ) იმ შემთხვევაში, თუ ამ განკარგულების შესაბამისად განსაზღვრული სასესხო აქტივები, რომელიც კომერციული ბანკის მიერ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის სასარგებლოდ გირავნობით იყო დატვირთული, შემდგომ პერიოდში გადავა სხვა კომერციული ბანკის საკუთრებაში, ასეთი სასესხო აქტივები დაემატოს ახალი მესაკუთრის ამ განკარგულებით განსაზღვრულ და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ გირაოს ბაზას. *(დამატებულია სეზის საბჭოს 2022-04-18-ის N13 განკარგულებით).*

**მუხლი 2.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარე

კობა გვენეტაძე

**სესხის გირაოდ გამოსაყენებელი კომერციული ბანკების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხების კრიტერიუმები**

1. კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დაგირავებას ექვემდებარება ისეთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე გაცემული სესხები, რომლებსაც:
  - ა) არ აქვთ დარღვეული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N143/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ მოთხოვნები;
  - ბ) შესრულებული აქვთ ეროვნული ბანკის წერილობითი მითითებებით განსაზღვრული მოთხოვნები.
2. კომერციული ბანკების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე გაცემული სესხების დაგირავების ლიმიტების გაანგარიშებაში გაითვალისწინება ამ დანართის შესაბამისი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საკრედიტო პორტფელის მოცულობა, მაგრამ არაუმეტეს 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით მათი სააქციო კაპიტალის 90%-ისა და არ გაითვალისწინება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საკრედიტო პორტფელის ის ნაწილი, რომელიც:
  - ა) წარმოადგენს ოქროსა და ავტო ლომბარდის, ასევე, განვადების და ონლაინ სესხების პორტფელს;
  - ბ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის N 142/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების წესის“ შესაბამისად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ არ არის კლასიფიცირებული „სტანდარტული“ სესხის კატეგორიაში;
3. ამ დანართის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულებით განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დასაგირავებელი კომერციული ბანკების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხების მაქსიმალური მოცულობები .
4. ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დასაგირავებელი კომერციული ბანკების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე გაცემული სესხი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
  - ა) სესხი გაცემული უნდა იყოს ეროვნული ვალუტით;
  - ბ) სესხის მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 1 მლნ ლარი;
  - გ) სესხის დაფარვამდე არ უნდა იყოს 2 თვეზე ნაკლები პერიოდი დარჩენილი;
  - დ) სესხები კომერციული ბანკის მიერ კლასიფიცირებული უნდა იყოს სტანდარტულ კატეგორიად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ შესაბამისად;
  - ე) სესხი არ უნდა იყოს რეკლავირებადი საკრედიტო ხაზი.

**სესხის გირაოდ გამოსაყენებელი კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების კრიტერიუმები**

1. კომერციული ბანკის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესზე სესხი გაცემული უნდა იყოს ეროვნული ვალუტით, ბიზნეს მიზნობრივობით იურიდიულ პირზე ან ინდივიდუალურ მეწარმეზე. სესხი არ უნდა იყოს რევოლვირებადი საკრედიტო ხაზი და სესხის დაფარვამდე დარჩენილი პერიოდი არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები;
2. საქართველოს ეროვნული ბანკის სასარგებლოდ დასაგირავებელი კომერციული ბანკის მიერ მცირე და საშუალო ბიზნეს სესხის მინიმალური ნაშთი განისაზღვროს 10 ათასი ლარით;
3. ერთ კომერციულ ბანკში „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული ურთიერთდაკავშირებული მსესხებლის ჯგუფის საბალანსო დავალიანება (მათ შორის სესხები უზრუნველყოფის გარეშე) უნდა იყოს 20 ათასი ლარიდან 5 მლნ ლარამდე შუალედში, მიუხედავად უზრუნველყოფის მოცულობისა და სახეობისა;
4. სესხები კომერციული ბანკის მიერ კლასიფიცირებული უნდა იყოს სტანდარტულ კატეგორიად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის“ შესაბამისად.
5. მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი უნდა განხორციელდეს კომერციული ბანკის შიდა პოლიტიკა-პროცედურის შესაბამისად.